№ 123 ივნისი 14, პარასკევი 1891 ივნისი 14, პარასკევი № 123

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

„ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასკვეთისათვის შესასვლელს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

ახალი ამბავი

*** პროფესორის დავით იესეს ძის ჩუბინაშვილის გარდაცვალების გამო „ქართულ წიგნების მბეჭდავმა საზოგადოებამ“ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა იმისს ქვრივსა და შვილსა, რომელთაც თავისის მხრით მადლობა გადაუხადეს დეპეშითვე ამ საზოგადოებსა თანაგრძნობისათვის.

*** წელს საქალებო ინსტიტუტში, მას შემდეგ, რაც სწავლა დაასრულეს, ოთხი ადგილი გაიხსნა ქალების სახაზინო ხარჯით აღზრდისა. ამას გარდა წლის განმავლობაში ავადმყოფობის გამო სწავლისათვის თავი დაუნებებია ორს ქალს: ყორღანოვისას და ჩერქეზიშვილისას, ამიტომ ორი ადგილიც ხაზინის ხარჯისა კიდევ გაიხსნა. ამ გვარად წელს ექვსი ადგილი გაიხსნა; აქედამ ერთი ადგილი მთავარ-მართებლის ნება ყოფლობით უნდა დაინიშნოს, ერთიც მისცეს სრულს ობოლს, რომელიც რიგით მოელოდდა, მაგრამ წილის ყრაში არ შესულა,—ეს არის ტერ-ყაზაროვის ქალი ბარბარე. დანარჩენი ოთხი ადგილი წილის ყრით ერგოთ 4 ივნისს: ნადვ. სოვეტნ. ყარამან ყანჩელის ქალს მარიამს, აზნაურის ექვთიმე ავალიანის ქალს ნინას, პოდპოლკოვნიკის არსენ ტაუჩელოვის ქალს ნინას და გუბერნსკი სეკრ. ივ. კრივოშევის ქალს ნინას.

ინსტიტუტის მთავრობა აცხადებს, რომ ზემოხსენებულნი ქალნი უნდა გამოცხადდნენ ამ წლის 9 ენკენისთვეს; ტფილისის გუბერნიაში მცხოვრებთ ამ რიცხვიდამ ერთის თთვის ვადა ეძლევათ და სხვა ადგილებში მცხოვრებთ-კი—სამი თთვე და თუ ამ დროს განმავლობაში არ გამოცხადდენ ინსტიტუტში, მერე აღარ მიიღებენ სრულიადაო. 8—10 წლის ქალებს ინსტიტუტში მიიღებენ უეგზამენოდ, ხოლო ამ ხნოვანობას გადაცილებული ეგზამენით მიიღება იმ კლასში, რომელიც მის ხნოვანობას შეეფერება.

*** შუა ამ თთვიდამ ცხვრის ხორცის ნიხრი შეიცვლება: გირვანქა, 9 კაპ. მაგიერ, იმ დღიდამ ეღირება 8 კაპ., ხოლო ძროხის ხორცის ნიხრი-კი შეუცვლელი დარჩა—ისევ 8 კაპ. გირვანქა.

*** შარშან, გიორგობის თთვის 30, არტემ ოჰანეზოვმა დასჭრა ტფილისის გუბერნატორის კანცელარიის მმართველის თანაშემწე მიხაილოვი. ოჰანეზოვი სამართალში მისცეს და წარსულს ოთხშაბათს, 12 ივნისს, ტფილისის საოლქო სასამართლომ კიდეც გაასამართლა ბრალდებული. ოჰანეზოვი სასამართლომ დამნაშავედ სცნო წინად განზრახულის ბ-ნის მიხაილოვს მოკვლის სურვილში და მიუსაჯა ღირსების ახდა და კატორღაში 12-ის წლით გაგზავნა.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას შესწირეს წიგნები: 1) თ. გრიგოლ ციციშვილმა, სოფ. ნიჩბისიდამ: ა) მიცვალება წმ. ღვთისმშობლისა, ბ) ტრაგედია იფიგენია, გ) წმ. ნინოს ცხოვრება, დ) სევდიანი, II წამება წმ· მარინესი და 3) აგებულება კაცის ტანისა. 2) ზაალ წინამძღვრიშვილმა: ა) ამირან დარეჯანიანი. 3) ნოშრევან მერკვილაძემ: ა) ენციკლოპედია, დაბეჭდილი პეტერბურგს, 1823 წელს. ბ) წერილების და არზა-თხოვნათა შედგენის ფორმები, დაბეჭდილი, ორი ცალი. 4) ხელთუბნის სკოლის მასწავლებელმა თ. რაზიკაშვილმა სიგელი 1792 წლისა ერეკლე მეფის მიერ ხელ მოწერილი და დაბეჭდილი მისის ბეჭდით.

*** სამშაბათს, 11 ამ თთვისას, საღამოს მეხუთე საათზე, ერთი სასაცილო და უფრო-კი სამწუხარო ამბავი მოხდა; ეგზარხოსის მეიდნის ჩასწვრივ, სახელოსნო სასწავლებლის მახლობლად, ერთი მოხუცებული, როგორც ეტყობოდა, ხამი კაცი დამთვრალიყო და მოფარფატებდა თავისთვის. ამ დროს საიდგანაც გამოუტყვრა ერთი ჯიბის ოსტატი და წაავლო ხელი საცოდავს. ხან ჯიბეების სინჯვა დაუწყო, თითქოს დაკარგულს ეძებდა რასმე, ხან უბეებისა და შემდეგ ფულის ქისაც ამოაღებინა თავისისავე ხელით პატრონს, მაგრამ შიგ, მგონი, არაფერი იყო. მოხუცებულს ვერცხლის ქამარი ერტყა და რადგანაც ფული ვერ უპოვნა, ახლა მოიწადინა ქამრის შემოხსნა, ბევრი ეწვალა, შეუმჩნევე-

---

ფელეტონი

მოკლე მიმოხილვა ჩვენის სამღვთო და საეკკლესიო წიგნების მდგომარეობისა

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 116)

X

ახლა მკითხველს თვალ-წინა აქვს მოსკოვის სასინოდო სტამბის პირობა და საქართველო-იმერეთის კანტორის პასუხი ამის გამო. ავსწონოთ ახლა ეს პირობა და პასუხი და დაუკავშიროთ ამავე წიგნების ბეჭდვას ტფილისში, რათა გამოვარკვიოთ საუმჯობესო დასკვნა.

როგორც მოსკოვის სასინოდო სტამბას, აგრეთვე საქართველო-იმერეთის კანტორას ჰსურს ერთნაირად შემდეგი: ა) სტამბამ უნდა დაჰბეჭდოს ქართული საეკკლესიო წიგნები მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუკვეთს თვით საქართველო-იმერეთის კანტორა და ამ გვარ შეკვეთის ამბავს აცნობებს პირდაპირ სტამბას, ბ) გამსწორებლად ქართულ საეკკლესიო წიგნთა უნდა იყოს იმისთანა ქართველი, რომელსაც მიეღოს უმაღლესი განათლება აკადემიისა და უნივერსიტეტისა, გ) ეს გვამი ნივთიერად ისე უნდა იყოს დაკმაყოფილებული, როგორც ამას მოითხოვს მისი განათლება და მოღვაწეობა, დ) გამსწორებელი უნდა იღებდეს დაწესებულს სტამბისაგან შრომის საფასურს იმის მიხედულობით, თუ რამდენი თაბახი ანუ წიგნი გაუსწორებია, ე) უნდა იყოს დაწესებული ტფილისში მუდმივი კომიტეტი, რომელიც თავისის ხელის მოწერით ყოველთვის ამტკიცებდეს მოსკოვის სტამბაში დასაბეჭდად გაგზავნილს წიგნებს.

ამ ორისავე პირობის დადებისათვის მოსაწონ პირობათა გარდა, მოსკოვის სტამბა წინააღმდეგ ტფილისის კანტორისა ითხოვს, რათა ა) გამსწორებელს ეძლეოდეს, გარდა სამუშაო საფასურისა, წელიწადში 600 მან. ჯამაგირი საქართველო-იმერეთის კანტორის თანხიდამ, ხოლო აღნიშნული კანტორა ამ ხარჯზედ უარს აცხადებს, რადგან ქართული საეკკლესიო წიგნები ყოველ წლობით არ დაიბეჭდება, ბ) მოსკოვის სტამბა სავალდებულოდ არ ჰხადის, რათა გამსწორებელმა მიიღოს აუცილებლად ხარისხი მღვდელობისა, ხოლო საქართველო-იმერეთის კანტორა-კი ითხოვს ამის აღსრულებას აუცილებლად. ამ საშუალებით, ჩვენის ფიქრით, კანტორა ცდილობს აიცილოს 600 მან. გამსწორებლის ჯამაგირი, გ) ამოწყობისა და ქართულის ასოების-დაზგის გამართვის ფასად მოსკოვის სტამბა იღებს გადაჰქრილს ფასს თავისის ნუსხით და ამას გარდა 50$^0/_0$ მოგებას, ანუ მეტს ფასს შედარებით სლავიანურს წიგნებთან, ხოლო კანტორა აძლევს 25$^0/_0$ მოგებას.

ახლა მკითხველს ხელთა აქვს ყველა საჭირო ცნობა და ხარჯი ქართულ საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის გამო მოსკოვში, სახელდობრ: ა) საგანი სტამბისა—ქართული საეკკლესიო წიგნები, ბ) გამსწორებელი, მისი ხელფასი, ჯამაგირი, განათლება, ხარისხი და ადგილი მოსკოვში, გ) ამოწყობა და დაზგის გამართვა (ანუ ჩვენებურად რომ ავსწეროთ ეს ორი უკანასკნელი საგანი—ქაღალდი ყდა, ამოსაწყობი და დასაბეჭდი), დ) სარედაქციო კომიტეტი. მკითხველს ვსთხოვთ, თუ რომელიმე საგანი დაგვრჩა შეუნიშნავი, მოგვაგონოს საქმის უკეთ გამოკვლევისათვის. ახლა ვაჩვენოთ, თუ თითოეულად ჩვენ მიერ ჩამოთვლილი საგანი სად უფრო ადვილი მოსახერხებელია და იაფად დაჯდება — მოსკოვში, თუ ტფილისში? პირველი საგანი არის—მასალა სტამბისა ანუ დასაბეჭდად განხილული, გასწორებული და ტფილისში არსებულის სარედაქციო კომიტეტის მიერ ხელ-მოწერილი წიგნი, დაბეჭდილი ანუ ხელ-ნაწერი. პირველი და აუცილებლად მეტი ხარჯი იქმნება ამ წიგნის გაგზავნა ტფილისიდგან მოსკოვს.

მეორე საგანი არის გამსწორებელი. პირველ ყოვლისა საყურადღებო ის არის, რომ ტფილისი შეიძლებს ამ საქმის შესრულებას მოსკოვის დაუხმარებლად, ხოლო მოსკოვი-კი ვერა, თუ ტფილისი არ დაეხმარა და ქართველი კაცი არ გაჰგზავნა. ამასთანავე კარგისა და აღნიშნულ საქმისთვის გამოსადეგ ქართველის შოვნა უმაღლესის განათლებით და მისი შერჩევით დანიშვნა უფრო ადვილი მოსახერხებელია ტფილისში, სადაც თითოეული ამ საქმისათვის მომზადებული ქართველი დიდის სიამოვნებით იშრომებს, ვიდრე მოსკოვში, სადაც ამისათვის მხოლოდ ფულის სიხარბით თუ დასთანხმდება ქართველი, ისიც არა ყოველთვის გულწრფელი და საქმისათვის მშრომელი. ამას თვით გამოცდილი მოსკოვის სასინოდო სტამბაც ჰხედავს, როდესაც სწერს: „გამსწორებელი, როგორც პასუხის მგებელი გავრცელების დროს ხალხში იმისთანა დიდ-მნიშვნელოვან გამოცემისა, როგორიც არის საეკკლესიო ღვთის-მსახურების წიგნები, უნდა იყოს აღმორჩეული იმისთანა გვამთაგან, რომელთაც მიუღიათ უმაღლესი—აკადემიისა ანუ უნივერსიტეტის განათლება და რომელთა შრომაც ვერ დაფასდება სამეხანიკო შრომის საწყაოთი, ე. ი, იმის მიხედულობით, თუ რამდენი შეცთომა გაუსწორებია წიგნების ბეჭდვის დროს. ამისათვის სტამბა გარდა პირდაპირის სამუშაო საფასურისა, რომელიც მჭიდროდ არის დამოკიდებული იმაზედ, თუ რამდენი შეცთომა არის გასწორებული, უნდა აძლევდეს სამუდამო ჯამაგირსაც წელიწადში 600 მან. რადგან ქართული წიგნების სწორება არის სპეციალური საქმე, ვიდრე გასწორება სლავიანურ საეკკლესიო წიგნთა, ამისათვის სტამბამ უნდა მოაწყოს მისი ნივთიერი ცხოვრება თუ უკეთ არა, ერთნაირად მაინც შედარებით სხვა გამსწორებლებთან მოსკოვის სტამბისა“ (პირობის მუხლი 4).

ეს მუხლი დიდად საყურადღებოა და შედეგი დიდისხნის გამოცდილებისა წიგნთა ბეჭდვის საქმეში. ტფილისის კანტორა-კი ძლიერ მსუბუქად მოჰპყრობია ამ მუხლს, როგორც მთელს პირობას. ეტყობა კანტორა მხოლოდ ხარჯის შემოკლებისთვის ცდილობს, ვიდრე თვით ქართულ საეკკლესიო წიგნების გაუმჯობესობისა და გაიაფებისთვის. ვერც ერთი საქმე ვერ წარიმართება, თუ მას თავისი საკუთარი მზრუნველი, მხნე მშრომელი, ხელის შემწყობი და დაბრკოლების ამცილებელი არა ჰყავს, უკეთუ ეს კაცი მოცლილი, თავისუფალი არ არის სხვა კერძო და მრავალფეროვან საქმეთაგან, რათა შეიძლოს, მომეტებული დრო და შრომა შესწიროს იმ სანუკარს საქმეს, რომელსაც მიჩემებული ჰყავს. ესევე საქმე უნდა აძლევდეს საზრდოს ცხოვრებისთვის თვით მშრომელს, თუ სრულიად არა, ნახევარს ანუ მესამედს მაინც. რამდენადაც მეტი იქმნება წყარო ცხოვრებისა ხსენებულს საქმეში, იმდენად უფრო მჭიდროდ იქმნება მიზიდული და დამოკიდებული მშრომელი ამგვარს საქმეზე. მხოლოდ ამისთანა მშრომელს შეუძლიან, გაანაყოფიეროს ის საქმე, რომელიც უნაყოფო ჰგონიათ შორიდამ მყურებელთ და თვით საგნის უმეცართ. ამისთვის, ჩვენის შეხედულობით, დიდი გამომფხიზლებელი და განმაახლებელი მნიშვნელობა ექმნებოდა ამ საქმეს, უკეთუ ეს 600 მ. ჯამაგირი ხელუხლებელი დარჩებოდა მაშინაც, როდესაც მთავრობა, საქმის ყოველმხრივ გასინჯვისა და აწონის შემდეგ, სასარგებლოდ დაინახავდა და ქართულ საეკკლესიო წიგნთა ბეჭდვას ტფილისიდამ არსად გადაიტანდა. ეჭვი არ არის, რომ მოსკოვის სტამბის წესით მოწყობა დიდს შეღავათს მისცემდა ჩვენის საეკკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმეს ტფილისში. მაშინ ეს საქმე ტფილისში იმავე ხარჯით, რაც აღრიცხულია მოსკოვის სტამბისთვის, თუ ერთი სამად არა, ერთი ორად მაინც მეტს

ლად უნდოდა შემოეხსნა, მაგრამ ვერ შემოხსნა, რამდენჯერმე საცოდავი დაუნდობლად ქვებზე დაახეთქა კიდეც.

ხალხი ბლომად შემოეხვია გარშემო და თითქოს მაიმუნს ათამაშებენო, ისე უყურებდნენ ამ ამბავს. ჯიბგირმა დაატყო აქ ველარას გავხდები, რადგან ხალხი თავს იყრისო, წაავლო ხელი თავისს მსხვერპლს და მტკვრისაკენ ერთს ვიწრო ქუჩაში მიათრია. დიდს ხანს გასტანა ამ ნაირმა ბრძოლამ. ბოლოს ერთი მადლიანიც გამოჩნდა, მივიდა გააშველა და ქვემოდ წაიყვანეს; თუმცა ამდენი ჯაჯღანი იყო, მაგრამ ერთი პოლიციელიც არსაიდგან არ გამოჩნდა.

*** **აჯიქაბულის** სადგურიდამ შემოგვჩივიან, რომ ამ სადგურს მშვენიერი და გვარიანად მოზდილი ბაღი აქვს, მაგრამ აქ მოსამსახურეთა სამწუხაროდ არასოდეს არ არის ღია თურმე იმის კარები. სადგურის უფროსის განკარგულებით, ეს ბაღი თითქმის სულ მუდამ დაკეტილია. მოსამსახურენი უკმაყოფილო არიან, მაგრამ ამათი შემწყნარებელი-კი ჯერ არავინ გამოჩენილა. ნეტავი, ერთის აბაზის მწვანილის მეტი ნათესი მოიპოვებოდეს მაინც რამე ამ ბაღშიო.

ვნახოთ, ვინ გამოჩნდება ისეთი მადლიანი, რომ შეაგონოს სადგურის უფროსს და ამ ერთად-ერთის საგრილებლის ადგილის კარები გაგვიღონ და ცოტა ხსნა მოგვცენ ამ სიცხე-პაპანაქიანს დროსაო.

დილის შვიდ-რვა საათიდამ ვიდრე 11—12 საათამდე დიდ-ძალი კალია მოფრინავს ჩვენს სადგურზედ აღმოსავლეთიდამ და მიდის დასავლეთისაკენ; უფრო-კი რკინის გზის ლიანდაგს ეტანებაო.

*** **ბოჟი-პრომისლი.** კალიამ ფრთები დიდი ხანია შეისხა და აქედ-იქით დაჰფრინავს. ამ დღეებში ისეთი დიდ-ძალი კალია ეწვია ჩვენს მხარეს, რომ თითქმის მზეც დაგვიბნელა, როცა მოჰფრინავდა. ბევრგან მოასწრეს ნათესის აღება, განსაკუთრებით ზღვის პირებში, ბაღებს-კი, ვგონებთ, გაგვინადგურებს.

*** **აჯი-ქაბული.** ჩვენის სადგურიდგან თორმეტის ვერსის მანძილზედ, 5 ივნის კაცის კვლა მოხდა. აი საქმე როგორ იყო: ამ დღეს სოფელს ზუბოვსკაიაში მამასახლისს სტუმრად ეწვია ბაქოს გუბერნატორის განსაკუთრებით მინდობილებათა მოხელე დახვერდიევი, რომელიც გამოგზავნილი იყო მდ. მტკვარზედ თვალ-ყურის სადევნელად, რომ თევზი არ დაიჭირონ მაისისა და ივნისის განმავლობაში, რადგან ამ ორს თთვეს აღკრძალულია თევზის ჭერა. დახვერდიევს ბინა საფოსტო სადგურზე ჰქონდა, ხოლო მამასახლისთან სტუმრად მოვიდა. მამასახლისის ბინა ორის ვერსის მანძილზეა სადგურიდამ.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც მამასახლისის ეზოში რამდენიმე ჩერქეზულად გამოწყობილნი ჩამოვიდნენ; ერთი იმათგანი პოლიციის ბოქაულის ტანისამოსით იყო. ავიდნენ მამასახლისის სახლში და ბოქაულად ჩაცმულმა განკარგულება მოახდინა, იარაღი აეხადათ ყველა იქ მყოფთათვის; მერე მამასახლისი, ცოლი იმისი და შვილები ბოძებზედ მიაკრეს. მოითხოვეს ფულის ზანდუკი. მამასახლისმაც უჩვენა და, რაც რამ მოიძევებოდა, სულ ამოალაგეს იქიდამ: ორი-ათასხუთასი მანათი და—სხვა-და-სხვა ნივთეულობა-სამკაული.

ხმაურობაზედ მამასახლისის სტუმარმაც გამოიღვიძა, გამოვარდა გარედ, ძირს ჩამოირბინა და სადგურისაკენ გაექანა, მაგრამ ამ დროს მოისმა მაღლიდგან ხმა: არიქათ, არ გაუშვათ, (ბოქაულად ჩაცმული ამბობდა), თორემ კარგად მიცნობს და გამცემსო. მსწრაფლ სამი თათარი დაედევნა დახვერდიევს, დახვერდიევმა ქისა ამოიღო და შეაძლია მდევნელთ: „მხოლოდ მე ნუ მომკლავთ, წვრილის ცოლ-შვილის პატრონი ვარო“. ვედრება არ შეიწყნარეს, იგრიალა თოფმა და საბრალოს თავ-პირი რამდენსამე ნაწილად გაუსკდა. ახვერდიევი იქვე უსულოდ დავარდა.

ამას შემდეგ ეს ვაჟბატონები არხეინად ჩვენის სადგურისაკენ წამოვიდნენ. გზაში შემოხვდათ მალაკანი, მოიჯარადრე ლენქორანისა და აჯიქაბულის საფოსტო გზებისა. ესეც ხუთს ივნის ბაქოდგან ჩამოვიდა სახალხო მატარებლით, ფული აელო ათასხუთასი მანეთი. ამ მალაკანს ეს ფული ასწაპნეს, მეეტლე დასჭრეს ტყვიით თეძოში იმიტომ, რომ ფურგუნი არ შეაჩერა, როცა უბრძანეს; ცხენები გამოხსნეს და არხეინად გზას გაუდგნენ.

მეორე დღეს აქ ჩამოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე ბ-ნი ჩერქეზოვი, ადგილობრივი ბოქაულიც აქ იყო. ავაზაკები ჯერ-ჯერობით არ აღმოუჩენიათ, ხოლო ორი-კი არის დაჭერილი: ერთზედ ეჭვი აიღეს და მეორე სოფელ ავალას მცხოვრებლია და ამაზე მიუთითეს სოფლელებმა. დანარჩენს ავაზაკებსაც დაეძებენ.

ავაზაკები, როგორც ამბობენ, 18 კაცია და ამათ მოთავედ ასახელებენ სულთან-ბეგ-ყული-ბეგოვს, ლენქორანის მაზრაში პოლიციის ბოქაულად ნამყოფს. ყული-ბეგოვი რაღაც დანაშაულისათვის სამართალში მიუციათ და ამ გარემოების თავიდამ ასაცდენად სამსახურიდამ თავი დაუთხოვნია და ყაჩაღობისათვის მიუყვია ხელი.

*** 12 ივნისს, ღამის 11 საათზე. პოლიციის მეოთხე ნაწილში ანანოვის სახლში რაჭის მაზრის მცხოვრებელმა სამსონ დოდვაძემ რევოლვერი დაიცა მუცელში და თავი მოიკლა.

*** ამავე დღეს პოლიციის მერვე ნაწილში მივიდა სოფ. მარანას მცხოვრებელი მიხეილ დავითის ძე ბასილაური და განაცხადა, რომ ტფილისის ვაჭარს ადელხანოვს 217 მან. და 50 კ. ხის ქერქი მივყიდე და აგრეთვე წყვილი კამეჩი 147 მ. 70 კ. და შემდეგ ვიქირავე კიდეც მეეტლე და თან ორი ახალ-გაზდა სომეხიც გამომყვა ავჭალაშიო. როცა ტფილისს გავცდით და გრამაგელის ხევთან მივედით, ის ორი სომეხი თავს დამეცა, რაც ფულები მქონდა, სულ წამართვეს და გერმანელების კალონიისაკენ გაექანნენ ეტლითაო. დამნაშავენი აღმოჩნდნენ ტფილისის მცხოვრებელნი—არტემ არაქელოვი და ვასილ ფარსეღოვი, რომელნიც უკვე შეიპყრეს. მეეტლე აღმოჩნდა ილია ერმაკოვი და ისიც შეიპყრეს. დამნაშავეთ უპოვეს 36 მან. და 38 კ.

◆◆

მამა

(თარგმანი)

ეს ვიცი, რომელზედაც ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ, თავისს წრეში საუკეთესო კაცად ითვლებოდა და ტორდ უვერანს ეძახდნენ. ერთს დღეს ტორდი პასტორის კაბინეთში შევიდა თავ-მოწონებული და წელში გამართული: „მე ღმერთმა მომცა ვაჟი-შვილიო, უთხრა მან პასტორს: და მინდა მოვნათლო“. სახელად რას არქმევთ? — „ფინის, მამიჩემის სახელს“. ვინ გინათლავთ? ტორდმა ნათლიებად საუკეთესო შეძლებული კაცები და ქალები დაასახელა. გლეხი-კაცი ერთს წამს გაჩერებული იყო. კიდევ გინდა რამ? ჰკითხა პასტორმა. არაფერი, მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი შვილი მოჰნათლოთ მომავალს შაბათს, თორმეტს საათზე. სხვა კიდევ გაქვს რამე სათქმელი? — „აღარაფერი“. გლეხმა მოჰკიდა ქუდს ხელი, თითქოს გასვლას ემზადებოდა. მღვდელიც ადგა. „გამოთხოვებისას ერთს სიტყვას გეტყვიო, უთხრა პასტორმა, მივიდა ტორდთან და მოჰკიდა ხელი: ღმერთმა ინებოს, რომ შენმა ბავშვმა შენი ლოცვა-კურთხევა დაიმსახუროს“!

თექვსმეტის წლის შემდეგ ტორდი ისევ ამ მღვდლის ოთახში იყო. „ჯერ კიდევ ძალიან ყოჩაღადა ხარ, ტორდ“ უთხრა მღვდელმა, რომელმაც ვერავითარი ცვლილება ვერ შეამჩნია. „არა მიჭირს-რა და ან რა ჯავრი მაქვსო“, მიუგო ტორდმა. მღვდელი გაჩუმდა და მხოლოდ ერთს წამს შემდეგ ჰკითხა: რა საქმე გაქვს ჩემთან? ჩემის შვილის საქმეზე გიახელით, ჩემმა შვილმა ხვალ უნდა მიიღოს პირველად წმიდა საიდუმლო—„ყოჩაღი შვილი მყავს“.—„მე მსურს შევიტყო, რა ადგილას იდგება ჩემი შვილი ეკკლესიაში“?—პირველს ადგილას. „კარგი, აი თქვენ ათი ტალერი, ბატონო პასტორო“. კიდევ გსურს რამეო? ჰკითხა მღვდელმა; „არა, აღარაფერიო“.

გავიდა კიდევ რვა წელიწადი. ერთხელ პასტორის სამუშაო ოთახს ახლოს დიდი ხმაურობა ასტყდა; შე-

ნაყოფს გამოიღებდა მოსკოვთან შედარებით. ჯამაგირის მიუცემლობაზედაც რომ დავთანხმდეთ, მაინც კიდევ ტფილისს დარჩება პირველობა. ჯერ ერთი ესა, რომ აქაური საქართველო-იმერეთის კანტორა ბატონია საექსარხოსოში და მაშასადამე ყოველთვის სანუკარს ალაგს უშოვნის გამსწორებელს ტფილისში. მღვდელობის ხარისხი, ჩვენის ფიქრით, მოსკოვში მცხოვრებ გამსწორებლისათვის გამოწვეული უნდა იყოს აუცილებელ საჭიროებისაგან, რადგან მხოლოდ მღვდლების ადგილის გამო ჰხედავს შესაძლოდ ადგილობრივი საექსარხოსო მთავრობა, რათა იშუამდგომლოს წინაშე მოსკოვის სამიტროპოლიტო მთავრობისა. ტფილისში სულ სხვა საქმეა. აქ ადგილობრივს სასულიერო მთავრობას შეუძლიან მისცეს გამსწორებელს ადგილი არა მხოლოდ მღვდელობისა, არამედ მასწავლებლობისაც და სხვ. უნდა ვიცოდეთ რომ, რაც უფრო მრავალ-გვარ ადგილის მიცემა შეიძლება გამსწორებლისათვის, იმდენად უფრო მეტი იმედი არის, რომ ამ ადგილისათვის ღირსებული და საქმისათვის ერთგული მშრომელი გამოჩნდება. გარდა ამისა, რომელი ამომწყობი ანუ გამსწორებელი დასდებს პირობას, რომ იმას მოსკოვში ვერც ავადმყოფობა შეეხება და ვერც სიკვდილი, რაიცა ხშირად შეაბრკოლებს ბეჭდვის საქმეს. ან რომელი უმაღლესად განათლებული ან სხვა გვამი დასთანხმდება, რომ რამდენისამე თთვის ანუ ერთი-ორის წლის შემდეგაც ამორჩეულს უთხრან, თქვენ ისევ შინ უნდა მიბრძანდეთ, რადგან, როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, თქვენს შენახვაზედ მოსკოვში უფრო მეტი გვეხარჯება, ვიდრე შემოგვდისო. მაშასადამე ამ ხრითაც ტფილისს ვერ შეეცილება მოსკოვი. ეს საქმე მხოლოდ მაშინ დაადგებოდა წარმატების გზას, უკეთუ ადგილობრივი სასულიერო მთავრობა გულწრფელი მფარველი და ხელის შემწყობი თვითვე იქნებოდა, მაგრამ თვით საქართველო-იმერეთის კონტორას არა სწამს და ხანგრძელობის იმედი არა აქვს იმისი, რისაც შემოღება განუზრახავს გარეშე და გამოურკვეველ გავლენის გამო. ჩვენ მხოლოდ ამისთანა იჭვნეულობით-ღა შეგვიძლიან ავხსნათ ამ გვარი განჩინება საქართველო-იმერეთის სასინოდო კონტორისა: „მოსკოვის სასინოდო სტამბის მიერ გამოგზავნილი პირობა ქართულ საეკლესიო წიგნთა ბეჭდვის შესახებ მიღებულ იქმნას გამოსაცდელად“. ყველა გვარ ეჭვის ამშლელად ამ განჩინებაში მიგვაჩნია სიტყვა „გამოსაცდელად“. განა აღნიშნულს განტორას ისეთ უმნიშვნელო საქმედ მიაჩნია ქართულ საეკლესიო წიგნთა ბეჭდვის საქმე, რომ არა კეთილ ინება და არ გამოიკვლია ეს საქმე ისე, რომ საბოლოოდ გამოსადეგი განჩინება დაედგინა, რომ ყოველთვის საეჭვო მდგომარეობაში არა ყოფილიყო ეს, მოსკოვის სტამბის სიტყვით, „დიდ მნიშვნელოვანი საქმე“ (პირობის მუხ. 4). თუ ეს საქმე დასაწყისშივე საეჭვოდ არის გამხდარი, ჩვენის ფიქრით, სასულიერო მთავრობა ძლიერ კარგად იზამდა, რომ სათავეშივე შეეწყვიტა ეს ჯერ კიდევ ფეხ-აუდგმელი საქმე, რათა უფრო აწინდელზედ უარესად არ აწეწილიყო ბოლოს.

მესამე საგანი არის ასოთ ამოწყობა და დაზგის გამართვა. სასურველი იყო, რათა მოსკოვის სტამბას ეჩვენებინა სამაგალითოდ ამისი ფასი. მაშინ დაახლოვებით მაინც შეგვეძლო, აგვეწონა და შეგვედარებინა ტფილისის სტამბის ამგვარსავე ხარჯთან. მით უმეტეს ადვილი მოსახერხებელი იყო ეს, რადგან სულ ოთხი საგანი უნდა დასახელებულიყო: ქაღალდი, დასავაზმი, ამოსაწყობი და დასაბეჭდი. იქმნება დუმილი ამისთანა საქმეებში უფრო სასარგებლო იყოს მოსკოვის სტამბისთვის, ვიდრე ცხადად და გარკვევით საუბარი. თუ ამოწყობისა და დაზგის გამართვის ფასი არ გამოგვიცხადა, სამაგიეროდ ამისა 50% მოგებას წარბ-შეუხრელად იღებს, რადგან წიგნები ქართულია და არა სლავიანური. მართალია, საქართველო-იმერეთის კანტორამ ეს მოგება შეამცირა და 50% მაგიერ დააწესა 25% მოგება, მაგრამ თუ აქ ხელი შეეკრა, სტამბას სხვაგანაცა აქვს გზა გახსნილი, სახელდობრ—თავის ნუსხას, რომლითაც იღებს ამოწყობისა და დაზგის გამართვის ფასს, ხარჯთან შედარებით მოუმატებს და ამ გვარად გადაითავებს ამ დანაკლისს და თავის საკუთარის თანხიდამ ცალს ფულსაც არ დაჰხარჯავს. ჩვენ ვამბობთ ამას, რადგან თვით მოსკოვის სტამბას უფლება არა აქვს ამისთანა ხარჯი მიიღოს. „მოსკოვის სტამბამ ეს ხარჯი უნდა მიაკუთვნოს თავისს ზარალს და ჩასთვალოს მსხვერპლად ქართულ საეკლესიო წიგნთა ბეჭდვის გამო, მაგრამ ამის უფლება სტამბას არა აქვს მინიჭებული“ (პირობის მუხლი 4). ვერც გავამტყუნებთ მოსკოვის სტამბას, ამისთვის რომ თავის საკუთარი სლავიანური წიგნებიც ბევრი აქვს და ახლა ქართულიც უნდა მოახვიონ თავს. არ მეშვებით და ესეც, მეტი ფასი, თქვენის ზარმაცობისა, მცონარეობისა და უყურადღებობისთვის დამიმატებიაო. რადგან ამისთანა გულ-გრილობას იჩენს მოსკოვის სტამბა, ამისთვის ვეცადოთ, ჩვენის მხრით გამოვარკვიოთ, შეძლების გვარად, ზემორე აღნიშნული ოთხი საგანი.

რადგან ტფილისი არის გაშენებული მდ. მტკვრის შუა წელზედ და მისი აქედამ დაძვრა და გადატან-გადმოტანა იმ განზრახვით, რომ სავაჭრო საქონლის გამოსაგზავნი ანუ მოსატანი ფული არ დაგვეხარჯოსო, ყოვლად მოუხერხებელია და ამისთანა შიში უფრო უმეცრების და ქვენა გრძნობათა შედეგია, ამისთვის ქაღალდი და ყდა მოსკოვიდამ უნდა გამოვიწეროთ და საგზაო ხარჯიც უნდა გარდვიხადოთ. ხარჯისთვის სულ ერთია, ქაღალდსა და ყდას მოვიტანთ ცალკე მოსკოვიდამ, თუ დაკაზმულს წიგნებს. ეს ხარჯი აუცილებელია ორსავე შემთხვევაში—ტფილისში დაიბეჭდება ჩვენი საეკლესიო წიგნები, თუ მოსკოვში. რაც შეეხება მოგებას, ამას ვაჭარი ერთ ნაირად გამოართმევს, როგორც მოსკოველს, ისე ტფილისელს. აქ ორ დასახელებულ ქალაქთა ურთიერთ შორის უპირატესობაზედ სჯა უქმი დაკარგვა იქნება შრომისა და დროსი. „მწყემსი“ თავდებად უდგება მოსკოვის სტამბას და იმედი გვაქვს, არც ტფილისის სტამბას ეტყვის უარს იმის გამო, რათა „წიგნები მუქთად გამოგვეგზავნოს მოსკოვიდამ ტფილისს“ („მწყემსი“ 1890 წ. № 15 და 16). ესეც სასიამოვნო ამბავია ტფილისის სტამბისთვის, რადგან, თუ წიგნების გამოგზავნა შეიძლება მუქთად, ცალკე ქაღალდისა და ყდების გამოგზავნაც შესაძლებელი იქნება. მაშასადამე ამ საქმეში მოსკოვს უპირატესობა აღარაფერი რჩება.

ამწყობის შესახებ უნდა ვიცოდეთ, რომ ხუცურ ასოების ამწყობი იმავე ჯამაგირს არ დასთანხმდება მოსკოვში, რასაც იღებს ტფილისში. ჩვენ გვაგს გაგონილი პირდაპირ ასოთ ამწყობისაგან, რომ მოსკოვში წასასვლელად მაძლევენ ჯამაგირს თთვეში 50 მან. როდესაც ამასვე, როგორც ასოთ ამწყობს, აქვს ახლა ჯამაგირი ერთს აქაურს სტამბაში თთვეში სამი თუმანი. მაშასადამე მოსკოვის სტამბამ მარტო ამ ერთ საგნისათვის უნდა ჰხარჯოს ყოველ წლობით 240 მან. მეტი ტფილისთან შედრებით. ამ სიძვირეს თვით მოსკოვის სტამბა კარგად ჰხედავს, მაგრამ მაინც ეს ზარალში არ არის, რადგან 50% ან 25% მოგებას იღებს. ეს გარემოება მხოლოდ აძვირებს ჩვენს წიგნებს, საქართველო-იმერეთის კანტორას-კი ჰგონია, რომ სტამბის გადატანით მოსკოვს ქართული საეკლესიო წიგნებს გავაიაფებო. მოსკოვის სტამბა გულახდით გვეუბნება, რომ „ეს მეტი ხარჯი იმისთვის დავაწესეთ, რომ ქართულ ასოების ამოწყობა შედარებით ძნელია და მეტს დროსაც მოითხოვს ამომწყობისაგანაო“ (პირობის მუხლი 6).

მოვიდა რამდენიმე კაცი ტორდის წინამძღოლობით. მღვდელმა აიღო თავი, მაშინვე იცნო და ჰკითხა: „რა ამბავია?“ მე მოვედი, გთხოვოთ, რომ ჩემის შვილის ქორწილი საზოგადოდ გამოაცხადოთ. ჩემი შვილი ირთავს კარენა სტორლიდენისას გულგუნოვის ქალს, რომელიც აგერ აქა სდგას. ვგონებ, ყველაზე მდიდარი ქალი ეს არის მთელს თქვენს სოფელში,— „აგრე მოგახსენებენო“, მიუგო გლეხმა, სიამოვნებითა და თავ-მოწონებით თმაზე ხელი გადისვა დ გადიწია შუბლიდგან. მღვდელი რამდენსამე წუთს იყო თითქო ფიქრებში გართული, არაფერი არ უთქვამს, მერე ჩასწერა სახელები წიგნში და შემოსულებს ხელი მოაწერინა. ტორდმა სტოლზე სამი ტალერი დასდო. „მე მხოლოდ ერთი ტალერი მერგებაო, შენიშნა მღვდელმა“. „ვიცი, მაგრამ მე იმ ერთის შვილის მეტი არა გამაჩნია-რა და ვილისთვის უნდა ვიყო ხელ-გაშლილი, თუ არ იმისთვისაო“? მღვდელმა აიღო ფული,—ეს მესამედ მოდიხარ ჩემთან შენის შვილის საქმეზედ, ტორდ, უთხრა მღვდელმა. „მესამედ და უკანასკნელადაცაო“. მიუგო ტორდმა, გამოეთხოვა და წავიდა; დანარჩენებიც ნელ-ნელა უკან გაჰყვნენ.

ორის კვირის შემდეგ მამა და შვილი კარგს ამინდში მიცურავდნენ ნავით სტორლიდენისკენ, ქორწილის თაობაზე უნდა მოელაპარაკნათ. „ჩემი სკამი მეტად ტოკავსო“, სთქვა შვილმა და წამოდგა ზეზე იმის გასასწორებლად. იმ წამშივე ფეხი გაუსხლტა, თავი ველარ შეიმაგრა, დაიკივლა და წყალში გადავარდა. ორთავყვირს მოჰკიდე ხელიო, დაუყვირა მამამ და ნიჩაბი გაუშვირა: შვილი სცდილობდა ხელი მოევლო, მაგრამ ამაოდ.

წყალმა თავისი მსხვერპლი გულ-აღმა გადააბრუნა და ჩასძირა. ტორდს არა სჯეროდა თავისი უბედურება, ნავი იმ ადგილას გააჩერა, სადაც ჩასძირა იმისი შვილი, თითქო უცდიდა, აგერ გამოჩნდებაო, მაგრამ წყლის პირმა მხოლოდ რამდენჯერმე წამოიბუშტა და ის იყო და ის. დამშვიდებული ზღვა სარკესავით გაიშალა უწინდელებრ უბედურ მამის თვალწინ, თითქოს ჭიაც-კი არ ემსხვერპლნოსო.

ხალხი ჰხედავდა, როგორ დაცურავდა სამი დღე და ღამე მამა ნავით იმ ადგილის გარშემო, უძილოდ, უსმელ-უჭმელი, და ეძებდა შვილს. მესამე დღეს დილით იპოვნა თავისი დამხჩვალი შვილი და ზურგით აიტანა გორაზე, თავისს ბინაზედ.

გავიდა ერთი წელიწადი. შემოდგომის ერთს საღამოზე მღვდელმა გაიგონა, რომ ვიღაც ხელს აფათურებდა და კარების გასაღებს ეძებდა, ადგა და გააღო. ოთახში შემოვიდა გამხმარი, გაყვითლეიული, ბატსავით გათეთრებული და წელში მოღუნული კაცი. მღვდელმა დიდს ხანს უცქირა და ძლივს იცნო—ტორდი იყო.— „დღეს გვიან მოხვედიო“, წყნარად უთხრა მღვდელმა და გაჩერდა იმის წინ.—„დიაღ, გვიან მოვედი“, მიუგო ტორდმა და დაჯდა. დიდს ხანს სიჩუმე ჰმეფობდა. ბოლოს ტორდმა დაარღვია ეს სიჩუმე: „მე ფული მოვიტანე ღარიბებისთვის. მინდა, რომ იმათთვის თავ-შესაფარი იქმნას დაარსებული ჩემის შვილის სახელობაზედ“! ადგა, ფულები დასდო სტოლზე და ისევ დაჯდა. მღვდელმა დასთვალა. „ეს ბევრი ფულიაო“ სთქვა.—„ნახევარი ფასია ჩემის ეზოსი, რომელიც დღეს გავყიდე“. მღვდელი დიდს ხანს იჯდა გაჩუმებული და ბოლოს წყნარადა ჰკითხა: „ახლა რაღას ჰფიქრობ, ტორდ?“ ტორდმა მხრები შეიშმუხნა და არა სთქვა-რა. დიდხანს ისხდნენ ჩუმად. ტორდი იატაკს დასჩერებოდა და მღვდელი კიდევ იმას შესცქეროდა. დასასრულ წყნარად ჰკითხა მღვდელმა: „ჩემის აზრით, შენმა შვილმა მაინც-კი დაიმსახურა შენი ლოცვა - კურთხევა, არა?“—„დიაღ, მეც მაგ აზრისა ვარო“, მიუგო ტორდმა, თავი აიწია, შეაჩერდა მღვდელს და ორი მსხვილი ცრემლი ჩამოსცვივდა გამჭკნარს ლოყებზედ.

ა. გ. კ.

◆◆

რუსეთი

სასტატისტიკო ცნობათა უმთავრესმა კომიტეტმა „კრებული“ დაბეჭდა. ამ წიგნში ფრიად საყურადღებო ცნობებია მოთავსებული შესახებ სწავლა განათლებისა რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა კუთხეებში, რაიცა ჩვენის მკითხველებისათვისაც საყურადღებოდ მივვაჩნია და ამიტომ მოგვყავს კიდეც. აი თვით ეს ცნობანიც. 1886 წელს საზოგადოდ მთელის რუსეთის იმპერიაში ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი მოდიოდა 2,179 მცხოვრებელზე, მოსწავლე-კი ერთი 42 კაცზე. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, თუ რა განსხვავებაა ამ მხრივ იმ გუბერნიათა, რომელშიაც ერობაა დაარსებული, და იმ გუბერნიათა შორის, სადაც ერობა არ არის. ერობა შემოღებულს გუბერნიებში სწავლა უფრო მეტად ყოფილა აღორძინებული უერობო გუბერნიებზე, ასე რომ ერობა-შემოუღებულს გუბერნიებში თითო მოსწავლე 42 კაცზე მოდის და უერობო გუბერნიებში-კი თითო მოსწავლე 55 კაცზე.

ქალების განათლებით უფრო დიდი და თვალსაჩინო განსხვავებაა ერობიანსა და უერობო გუბერნიებს შორის. ერთი მოსწავლე ქალი ერობიანს გუბერნიებში 199 კაცზე მოდის და უერობოში-კი ერთი 376-ზე. აქედამ სჩანს, რომ ერობიანს გუბერნიებში ქალების სწავლის საქმე ერთი ორად უკეთ ყოფილა წარმართული, ვიდრე უერობო გუბერნიებში.

ქალების სწავლის საქმევე შესამჩნევად განსხვავდება საერო და სამრევლო-საეკკლესიო პირველ-დაწყებითს სასწავლებლებში. საეკკლესიო სასწავლებელში მოსწავლე ქალი $12^1/_2$ პროცენტია, ხოლო საერო სასწავლებელში 24 ე. ი. თითქმის ერთიორად მეტი პირველზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოებაც, რომ სწავლა - განათლება ხალხში იმ გუბერნიებსა და მხარეებში უფრო გავრცელებულია და მეტად აღორძინებული, სადაც გერმანელები უფრო მეტნი სცხოვრობენ. ვოლგას ქვემო გუბერნიებში ერთი მოსწავლე მოდის 36 მცხოვრებელზე, საშუალო გუბერნიებში ერთი 38-ზე, ცოტა კიდევ ზემოდ ერთი—41-ზე და სხვაგან-კი ერთი 49—68-ზე. ეს რიგი სწორედ ისე მისდევს, როგორც სად უფრო მეტ-ნაკლებად არიან დასახლებული გერმანელები.

◆◆

დეპეშა

12 ივნისს

პეტერბურგი დღეს, დილის 11 საათზე, მობრძანდა პეტერგოფს ხელმწიფე იმპერატრიცა, დედოფალი ბერძენთა, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, ბერძენთა დედოფალი მარიამი, უფლის - წული ქრისტეფორე და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. მათის უდიდებულესობის მისაგებებლად პეტერგოფიდამ გატჩინოს წაბრძანდა ხელმწიფე იმპერატორი.

სოფია. რადგან ახალი საბუთებიც აღმოჩნდა ბალჩევის მოკვლის თაობაზე, ამიტომ დააპატიმრეს სამსახურს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი რიზოვი და მკურნალი ცაჩევი. „Свобода“-ს სიტყვით, გამომძიებელს კომისიას ხელთ უგდია ნამდვილი საბუთები იმისი, რომ შეთქმულობა ყოფილაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 ივნისი.

	მყიდველის.		გამყიდველის.		გაყიდულის.	
	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	—	,,	—	,,	6	78
ტამოჟნის კუპონები .	137		$137^3/_4$		—	,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1,	04	1,	05	—	,,
$5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	—	,,	—	,,	$244^1/_2$	
—მეორისა	—	,,	—	,,	$224^1/_2$	
—მესამისა	—	,,	—	,,	—	,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , ,	212		—	,,	—	,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	—	,,	—	,,	—	,,
ქუთაისის ბანკისა . .	—	,,	—	,,	—	,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	—	,,	—	,,	—	,,

ბეჭდვის ფასის შესახებ მოსკოვის სტამბა გვიცხადებს, რომ „ქართულ საეკკლესიო წიგნთა ბეჭდვის ფასი იმდენივე იქმნება, რამდენიც სტამბას აქვს გადაჭრილი სხვა წიგნების დასაბეჭდადაო“ (პირობის მუხ. 6), გადაჭრილის ფასის რაოდენობას-კი არ გვიცხადებს. ესრეთი დუმილი ვაჭრობის საქმეში და ისიც აღნიშნულ დაწესებულებათა შორის რაღაც საეჭვო და არა სიკეთის მომასწავებელად მიგვაჩნია, თუ ახლა ვერ მოვახერხეთ, იქმნება შემდეგ მაინც მოიპოვოთ ამგვარი ცნობები, რათა ყველასთვის თვალსაჩინოდ გამოირკვეს ეს საგანიც. მოსკოვის სტამბა აი პირ-აქედ კიდევ რას ამუნათებს, ანუ ვალად სდებს საქართველ-იმერეთის კანტორას: „ქართულ საეკკლესიო წიგნთა ბეჭდვა განსხვავდება სლავიანურ წიგნთა ბეჭდვისაგან მით, რომ სლავიანურს წიგნებს, სტამბის სარგებლის გარდა, ემატება კიდევ სავაჭრო და დასაზღვევი ხარჯი, მიხედულობით ფასისა და ხანისა, რამდენიც საჭირო იქმნება მათის გასყიდვისათვის, ხოლო ქართულად დაბეჭდილი წიგნებს-კი არ დაემატება სავაჭრო და დასაზღვევი ხარჯი“ (პირობ. მუხ. 9). აქ დასამუნათებელი სრულიად არა არის-რა. სტამბა იღებს სავაჭრო დ დასაზღვევს ხარჯს სხვა წიგნებისას, რადგან ეს წიგნები იქ აწყვია და, ვინიცობაა, დაიწვა ანუ დაიკარგა, სტამბა იქნება პასუხისმგებელი, როდესაც ქართული წიგნები დაბეჭდვისავე შემდეგ საქართველო-იმიერეთის კანტორამ უნდა წაიღოს, როგორც ეს არის მოხსენებული სტამბის პირობაში: „მის ყოვლად უსამღვდელოების მიერ შეკვეთილი წიგნები

„მოიცადე ცოტაო! დაუძახა მამამ და ისიც წყალში გადაეშვა, მაგრამ

დაბეჭდვისავე უმალ უნდა გარდაეცეს მის მიერვე დასახელებულს გვამს მოსკოვში, ან სტამბის კომისიონერს დასაგზავნად დანიშნულებისამებრ“ (პირობ. მუხ. 7).

მეოთხე და უკანასკნელი საგანი არის სარედაქციო კამიტეტის დაწესება ტფილისში, მაგრამ არა ისე, როგორც არსებობდა და არსებობს აწ, არამედ ახალის რიგით და ახალის მოვალეობით. თითოეული ერი ჩვენს დროს დიდს ყურადღებას აქცევს იმ საქმეს, რათა საღმრთო და საეკკლესიო წიგნების ენა ადვილ გასაგონად გაჰხადოს მდაბიო ხალხისთვის და მით დააკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილება ერისა. ამისთანა გადასინჯვა ჩვენის საღმრთო და საეკკლესიო წიგნებისა საყურადღებო საქმეს წარმოგვიდგენს ამ ჟამად, როდესაც აღნიშნული წიგნები ენის მხრივ უნუგეშო და არა სანატრელს სურათს გვიხატვენ. ესეთი გარემოება ადვილი ასახსნელიც არის. ჩვენს საღმრთო და საეკკლესიო წიგნებს თითქმის მთელი საუკუნე არის, რაც ხელი არ მიჰკარებია ამ მხრივ. ამასვე უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენის მწერლობისა და ენის დაუძლურების (XIII—XVI) დროს დიდი ნაკლი დაეტყო აღნიშნულს წიგნებსაც. მართალია, მე-XVII—XVIII საუკუნეთა განმავლობაში ამ წიგნების საქმეს დიდი ყურადღება მიაქცია მაშინდელმა ნასწავლმა დასმა, მაგრამ მაინც სრულად ვერ აიცილა თავიდამ ექვსის საუკუნის მიერ შეძენილი ნაკლი, რადგან მე-XI—XII საუკუნეთა წიგნები ან სრულიად მივიწყებული და მიფარებული იყო, ან გარყვნილი უვიცთა გადამწერთა მიერ. ხოლო ახალმა რუსეთის გავლენამ სრულიად დაავიწყა ანუ ხელი ააღებინა ძველ დედანთა შედარებისა და გასწორებისაგან, რადგან, როგორც ვსთქვით, ძველი დედნები მოფარებული იყო, ხოლო ახლად თარგმნა ბერძნულიდამ შესაძლო არ იყო ენის უცოდინრობის გამო. ჩვენს წიგნებს ნათლად ამჩნევია სლავიანურ წიგნთა გავლენა, რომლის ენა ჩვენმა მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის გამსწორებელთ ზედ მიწევნით არ იცოდნენ, ხოლო ბერძნულსა და ებრაულს ენასთან შედარებასაც საჭიროდ არც-კი ჰხადიდნენ. ჩვენს დროსაც არსებობს თურმე ამავე საქმისათვის თვალ-სადევნებლად კომისია. უნდა შევნიშნოთ, ვკითხულობთ „მწყემსში“, საქართველოს ექსარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის პალადის ერთი ფრიად სასარგებლო განკარგულება. დიდი ხანია შენიშნულია, რომ ბევრი შეცთომა არის საეკკლესიო წიგნებში, რომელიც მომხდარა ბეჭდვის დროს. ამიტომ ექსარხოსმა დანიშნა კომიტეტი, რომელმაც უნდა შეასწოროს ეს შეცთომები საეკკლესიო წიგნებში“ („მწყემსი“ 1890 წ. 15—16). ჩვენ არ ვიცით, როგორც ამ ახალს, აგრეთვე სხვა ამ გვარს კამიტეტებსაც რა აქვს და რა ჰქონდათ დავალებული ჩვენის საღმრთო და საეკკლესიო წიგნების შესწორების დროს, მაგრამ იმას-კი გაბედვით ვიტყვით, რომ აღნიშნულს კომიტეტებს ჩვენს წიგნებში არავითარი საყურადღებო და სანატრელი ცვლილება არ მოუხდენია, როგორც ამაში დარწმუნდება თითოეული მკითხველი აღნიშნულ წიგნების გადასინჯვით და მე-X—XII საუკუნეთა ხელ-ნაწერებთან შედარებით. რის გამო მოჰხდა ეს? ვგონებთ, იმის გამო, რომ თვით სასულიერო მთავრობას არ განუზრახავს ანუ ჯერ საჭიროდ არ უცვნია ამ გვარი გადასინჯვა და შესწორ-შედარება ჩვენის წიგნებისა. აქამომდე ადგილობრივს სასულიერო მთავრობას არა აქვს გამოკვლეული საჭირო გეგმა აღნიშნულ საქმის დაწყებისა და დაგვირგვინებისათვის, თუმცა-კი ამას მოითხოვს ჩვენის დროის ვითარება, როდესაც არამც თუ მომავალს სამღვდელო თაობას, არამედ თვით სამღვდელოებასაც არა აქვს შეგნებული, როგორც საღმრთო და საეკკლესიო წიგნთა ენა, აგრეთვე თანამედროვე სალიტერატურო და სახალხო. თუ ამისთანა გაჭირვებულსა და დავრდომილს დროს არა, როდისღა უნდა დავეხმაროთ ხალხს, რათა მისთვის „ყოველი წიგნი იყოს სასარგებლო სამოძღვრებლად, სამხილებლად, განსამართლებელად და სასწავლელად სიმართლისა, რათა ღვთისა კაცი იგი სრულ იყოს და ყოვლისა მიმართ კეთილის საქმისა განმტკიცებულ (2 ტიმოთ. 3, 16—17)?“ სამღვდელოებამ როდის უნდა გაუწიოს მფარველობა ერს, თუ მაშინ არა, როდესაც ურწმუნოება და ცრუ-მორწმუნება ორკვეცის ძალით იბრძვის, რათა ზნე-სარწმუნოებას საძირკველი შეურყიოს, მიწასთან გაასწოროს? ამისთანა საყურადღებო დროს, როდესაც თითოეული კაცი, განსაკუთრებით სასულიერო, საქმით და სიტყვით უნდა ჰქადაგებდეს სიტყვასა ღვთისასა, დარაჯად ადგეს ყოველს ჟამს, ამხილებდეს, უშლიდეს, არიგებდეს ყოვლითა სულ-გრძელებითა და ნუგეშის-ცემითა (2 ტიმოთ. 4, 2), იბეჭდება ქართულად საღმრთო და საეკკლესიო წიგნები უყურადღებოდ, სავსე იმისთანა შეცთომებით, რომელიც მდაბიო ერის კაცისათვისაც-კი თვალ-საჩინოა, არამც თუ სასულიერო სწავლით აღჭურვილთათვის. აი რას ვკითხულობთ, სხვათა შორის, მოსკოვის სასინოდო სტამბის მიერ გამოგზავნილს პირობაში: „რადგან თვით ექსარხოსმა და აგრეთვე საექსარხოსოში მცხოვრებ მცოდნე პირთ აღიარეს, რომ თვით ახლანდელი ქართულად დაბეჭდილი წიგნების დედანი ვერ არის დამაკმაყოფილებელი, მრავლად არის იმაში მძიმე შეცთომანი, ამისათვის... სტამბას დიდად მოსურნეა, რომ დედანი დასაბეჭდ წიგნებისა, რაც-კი შესაძლო იქმნება, კარგად იყოს გასწორებული. ამისთვის საჭირო არის, რათა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ დანიშნოს მუდმივი კომისია მცოდნეთაგან, ანუ ერთი გინა ორი სარწმუნო გვამი, და ესენი თავისის ხელის მოწერით ამტკიცებდნენ სტამბაში გამოგზავნილს დასაბეჭდს წიგნებს“ (პირობის მუხლ. 2).

მოვიყვანთ ნიმუშად ზოგიერთს ადგილს ახალის აღთქმიდამ, რომელიც დაუბეჭდია ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებას 1879 წ., რაღა თქმა უნდა, სასულიერო მთავრობის ნებართვით მისგანვე მიცემულის გასწორებულ და შემოწმებულ დედნიდამ.

1. „იყავნ კეთილად მცნობელ წინა-

იმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

ვამზადებ ყმაწვილებს გიმნაზიებსა, რეალურს სასწავლებელსა და სამოქალაქო სასწავლებელში შესასვლელად და აგრეთვე იმათაც, ვისაც ხელმეორედ გამოცდა აქვს დანიშნული.

(ადრესი „ივერიის“ რედაქციაში)

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—2)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
პატიოსანი ადამიანი	„	5
ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ.	„	5
მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა.	„	20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა	1	„

მოსაჯულისა მის შენისა ადრე, ვიდრემდე ხარ მისთანა გზასა ზედა, ნუ უკვე მიგცეს შენ წინა-მოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან მსახურსა, და საპყრობილედ შეჰკარდე“ (მათ. 5,25).

ამ გვარადვე არის ეს ადგილი თითოეულს სახარებაში, რომელიც-კი დაბეჭდილა სადმე აქამომდე. სჩანს, რომ ეს ადგილი ადვილ-გასაგონად მიუღია კომისიას. ამ მუხლს ჩვენ ასე ვსთარგმნით: „მოურიგდი შენს მოწინააღმდეგეს ჩქარა, ვიდრე შენ კიდევ გზაზედა ხარ მასთან, რათა მოწინააღმდეგემ არ მიგცეს შენ მსაჯულს, ხოლო მსაჯულმა არ მიგცეს შენ მსახურსა, და არ შთაგაგდონ საპყრობილეში“. მკითხველმა შეადაროს ორივე თარგმანის აზრი და თვითვე გაასამართლოს, რომელი უფრო გასაგონია მისთვის.

2. „კაცი ესე (სტეფანე) არა დასცხრების სიტყუად სიტყუათა გმობისათა ადგილისა ამისთვის და რჩეულის,“ (საქ. მოც. 6,13). ამ გვარადვე არის ეს მუხლი მოსკოვში დაბეჭდილს დაბადებაშიაც, ხოლო სიტყვის „რჩეულისა“ მაგიერ არის „რჩულისა“. მეათე საუკუნის ხელთ-ნაწერში ამა მუხლს ესე ვკითხულობთ: „კაცი ესე არა დასცხრების სიტყუასა ბოროტსა ადგილისა ამისთვის წმიდისა და შჯულისა“ (ხელთ-ნაწ. ეკუთვნის წ. კ. საზოგადოებას). როგორც შჯული ანუ სჯული არის ესევე სიტყვა ბერძულად, ლათინურად, ფრანგულად, სლავიანურად, რუსულადს დაბეჭდილს სამოციქულოში, ესევე არის, როგორცა ვსთქვით, ქართულს ხელთნაწერს სამოციქულოშიაც, მხოლოდ ქართულად ნაბეჭდს სამოციქულოში არის „რჩეულისა“ და „რჩულისა“. კომმისიას რომ შეედარებინა ერთ-ერთ ჩვენ მიერ ნაჩვენებს უცხო ენაზედ დაბეჭდილს სამოციქულოსთან, ადვილად გაასწორებდა ამ შეცთომას, მაგრამ, როგორცა სჩანს, კომისია ყოფილა მხოლოდ სახელისთვის და არა საქმისათვის.

3 „და ვითარ შეაცთუნა ნავი იგი“ (საქ. მოც. 27,15). მეათე საუკუნის ხელთ-ნაწერში ამ მუხლს ასე ვკითხულობთ: „და ვითარ შეაბრკოლა ნავი იგი“. სამოციქულოში აი რა აზრი არის გამოსათქმელი: ჯერ დაჰბერა სამხრეთის ქარმა და ნავი იქით გაემართა, საითაც ქარი უბერავდა. უცებ ქარმა იბრუნა პირი და ნავი შეაბრკოლა, რადგან წინიდგან მოექცა. ამისთანა ადგილს, ვგონებთ, სიტყვა „შეაბრკოლა“ უფრო ზედმიწევნით გვიხატავს აზრს, ვიდრე „შეაცთუნა“, მით უმეტეს, რომ ნავის შეცთუნება ძნელია ქარის მიერ.

4 „ზოგი ხაყოფთა ჩემთა მივსცე გლახაკთა“ (ლუკ. 19,8) აქ სიტყვის, „ზოგი“-ს მაგიერ თითოეულს ზემოდ დასახელებულს ხუთს ენაზედ არის „ნახევარი“. სამჯობინარი იყო, პირველის სიტყვის მაგიერ კომისიას დაებეჭდა მეორე.

5 „ხოლო მოძმენი და რომელთა ეხილვა იგი პირველად, რამეთუ მთხოველი იყო“ (იოან. 9,8). აქ სიტყვა „მოძმენი“ არის ნახმარი ნაცვლად „მეზობელნი“, ხოლო „მთხოველი“—ნაცვლად სიტყვისა „ბრმა“, და ესრეთი თარგმანი აბნელებს ნამდვილის აზრის გაგებას. კარგი იქმნებოდა, რომ ნაცვლად სიტყვებისა „მოძმენი“ და „მთხოველი“ დაბეჭდილიყო „მეზობელნი“ და „ბრმა“, როგორც არის ნაჩვენებს ხუთსავე ენაზედ დაბეჭდილს სახარებაში.

ამ გვარად რომ გავყვეთ, ამისთანა მაგალითებს ბოლო არ მოეღება; ამისთვის ვგონებთ, ჯერ-ხნობით ესეც კმაროდეს.

(შემდეგი იქნება)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

	მან.	კაპ.
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი	„	30
ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ.	„	30
ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა.	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა.	„	15
თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით	2	„
ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი	8	„
ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან	3	„
გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან	1	„
წინამძღვარი ზეცისა	„	50
წმიდათა ცხოვრება	1	20
იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა	„	40
სიბრძნე კაცობრივი	1	„
ბრძენი	„	30
მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით.	„	50
მოკლე ფრანგული გრამატიკა	„	40
მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით	1	20
მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა.	„	50
მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა.	„	40
მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით	„	50
მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით.	„	50
წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით	„	60
ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა.	„	50
საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით.	10	„
Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна	„	3
Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова	3	„

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით.	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50„	5 „	5 „ 25„
10 „	8 „ 75„	4 „	4 „ 70„
9 „	8 „ —„	3 „	3 „ 50„
8 „	7 „ 25„	2 „	2 „ 75„
7 „	6 „ 50„	1 „	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
„უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგმანი თ. სახოკიას-მიერ	„	30
„ცვარი“ საყმაწვილო წიგნი, სურათებით, შ. მღვიმელისა.	„	30
ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ.	„	5
ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ, წიგნი I.	„	30
იგივე, მშვენიერის ყდით	„	75
თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით.	„	80
იგივე მშვენიერის ყდით	1	25
„დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი.	„	15
„სურამის ციხე“, გამოც. მესამე გრ. ჩარკვიანისა	„	25
„მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა	„	20
„წყალობა“, პოემა მისივე	„	20
„ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის მოქცევისა“ გამოცემული რედაქტორობით და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილისა.	„	40
ანდერძი ანტონის მე-II, საქართველოს კათალიკოსისა, გამოცემული დ. ფურცელაძის მიერ.	„	30
რამდენიმე ლექსი ცახელისა	„	15
„სამი ისტორიული ხრონიკა“ ექვ. თაყაიშვილისა	1	„
„Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა.	„	50
„ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა.	„	50
„ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა“, შარაბიძისა	„	60
„დემეტრეს სახლობა“, მოთხრ. ს. მგალობლიშვილისა	„	15
„თამარ-ბატონიშვილი“, ისტორ. რომანი რჩეულიშვილისა	1	„
„Руско-грузинскій словарь“ вновь составленный по новѣйшимъ словарямъ, დ. ჩუბინაშვილისა	3	„
„არჩილიანი“, გამოც. მაჩიტაძისა-დიმელისა	„	75
„მიბაძვა ქრისტესი“, თხზ. თომა კემპელისა, თარგ. ლათინურიდგან ა. მღებრიშვილისა, წიგნი მე-III და მე-IV ყდით.	„	80
იგივე უყდო	„	60
„მიბაძვა ქრისტესი“, წიგნი I. და მე-II. ყდით	„	70
„შვილის აღზრდა“, პედაგოგიური წერილები თ. ხუსკივაძისა	„	20
„ყმაწვილების ფიზიკური აღზრდა“ გ. იოსელიანისა.	„	20
„ძეგლის-დება“ მეფე გიორგი ბრწყინვალესი“ ნ. ურბნელისა	„	25
„ივანნამ რა ჰქმნა“, მოთხრ. ი. გოგებაშვილისა.	„	10
„კიკოლას ნაამბობი“, ისტ. პოემა აკაკისა	„	20
„ბორკილი“, დრამა, თარგ. ა. ახნაზაროვისა	„	40
ჟანნა-დარკ	„	5
ბერლინის გარემოცვა.	„	5

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ შემდეგის ადრესით უნდა მიჰმართონ: Тифлисъ. Въ Книж. Магазинъ „Грузинскаго Издательскаго Товарищества“, Лорисъ-Меликовская ул., д. Зубалова.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Іюня 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე